კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. ქუთაისი

2011 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება ——————————————————————3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია ——————————————————————— 5
3. ხელშეკრულების პროექტი ——————————————————————6

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" (მის: 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. № 3, ს/ნ 412675396 ტელ: 8(431)253701) აცხადებს კონკურს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია: ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" 35-ევე ფილიალში შენობა–ნაგებობების ელექტრო ენერგიის აღრიცხვის კვანძის მოწესრიგებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (დეფექტური აქტების) შედგენა საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, ბაღის საჭიროების შესაბამისად.

კერძოდ:

- ელ.ენერგიის ჯიხურთან სამ ფაზიანი მრიცხველის მოწყობა სტანდარტების შესაბამისად;
- ობიექტის მკვებავი კაბელის რევიზია;
- თუ ობიექტის მკვებავი კაბელი დაზიანებულია და ბაღში ვერ ვღებულობთ სამ ფაზა დენს, მიზეზის დადგენა;
- იმ შემთხვევებში როდესაც კაბელი დაზიანებულია და არ ექვემდებარება შეკეთებას, მაშინ დეფექტური აქტის მომზადებისას გათვალისწინებული იყოს, ხუთ წვერიანი სპილენძის კაბელით შენობაში დენის შეყვანა საჰაერო და/ან მიწისქვეშა გზების გამოყენებით, შესაბამისი დაბრკოლებების გათვალისწინებით;
- კაბელის განაკვეთი დამოკიდებული უნდა იყოს შენობაში ელექტრო ენერგიის მოხმარების სიმძლავრეზე დამატებული 30%;
- შენობაში, შიგნით ელ.ენერგიის გამანაწილებელი კარადის მოწყობა და დაერთება შენობაში არსებულ ძველ სისტემასთან;
- შენობაში შიგნით გამანაწილებელი კარადიდან სამზარეულოში ახალი სამფაზიანი დენის შეყვანა სტანდარტების გათვალისწინებით;

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3000 (სამი ათასი) ლარი.

4. დაფინანსების წყარო: ააიპ **ქ.ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების 2011 წლის ბიუჯეტი**

5. კონკურსში მონაწილეობის საფასური

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარი. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

5.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცახდებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

6. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 28 ნოემბერს 12 საათზე.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

8. საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და ასლი) 2011 წლის 28 ნოემბერს 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 1, ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" (ადმინისტრაციული

შენობის მე-2 სართული, ოთახი #3.)

9. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე), არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

11. საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღის განმავლობაში.

13. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ–ს გარეშე.

- გასაწევი მომსახურეობის სრული ტექნიკური აღწერა.
- ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ.
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ.
- ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ.
- რეკვიზიტები.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 3000 (სამი ათასი ლარი) არ განიხილება.

16. საკონკურსი წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,5.
- ანალოგიური მომსახურების გამოცდილება: კოეფიციენტი – 0,3.
- მომსახურეობის მიწოდების ვადა: კოეფიციენტი – 0,2.
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 7 (შვიდი) კალენდარულ დღეში საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის წარმოდგენა.

18. წარმოდგენილი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

19. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდანგამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

20. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი გიორგი ბუაძე მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1, ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" (ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული, ოთახი #3). ტელ 8(431) 25-37- 01;

ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" 35-ევე ფილიალში შენობა–ნაგებობების ელექტრო ენერგიის აღრიცხვის კვანძის მოწესრიგებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (დეფექტური აქტების) შედგენა საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად,ბაღის საჭიროების შეაბამისად.

კერძოდ:

- ელ.ენერგიის ჯიხურთან სამ ფაზიანი მრიცხველის მოწყობა სტანდარტების შესაბამისად;
- ობიექტის მკვებავი კაბელის რევიზია;
- თუ ობიექტის მკვებავი კაბელი დაზიანებულია და ბაღში ვერ ვღებულობთ სამ ფაზა დენს, მიზეზის დადგენა;
- იმ შემთხვევებში როდესაც კაბელი დაზიანებულია და არ ექვემდებარება შეკეთებას, მაშინ დეფექტური აქტის მომზადებისას გათვალისწინებული იყოს, ხუთ წვერიანი სპილენძის კაბელით შენობაში დენის შეყვანა საჰაერო და/ან მიწისქვეშა გზების გამოყებით, შესაბამისი დაბრკოლებების გათვალისწინებით;
- კაბელის განაკვეთი დამოკიდებული უნდა იყოს შენობაში ელექტრო ენერგიის მოხმარების სიმძლავრეზე დამატებული 30%;
- შენობაში, შიგნით ელ.ენერგიის გამანაწილებელი კარადის მოწყობა და დაერთება შენობაში არსებულ ძველ სისტემასთან;

შენობაში შიგნით გამანაწილებელი კარადიდან სამზარეულოში ახალი სამფაზიანი დენის შეყვანა სტანდარტების გათვალისწინებით;

2. ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტული ფილიალის მიხედვით ცალ–ცალკე, შენობაში და მის გარეთ ჩასატარებელი სამუშაოების მიხედვით.

3. შენობა ნაგებობები განთავსებულია შემდეგ მისამართებზე:

№	დასახ.	ქ.ქუთაისი ბ/ბ-ის მისამართი
1	№1 ბ/ბ	ახალგაზრდობის ქ. №60
2	№2 ბ/ბ	გაპონოვის IIშეს .№5
3	№3 ბ/ბ	წერეთლის ქ. №122
4	№4 ბ/ბ	დავითაშვილის I შეს.№2
5	№5 ბ/ბ	ზურაბ ჭავჭავაძის ქ.№2-ა
6	№6 ბ/ბ	ავალიანის ქ.№18
7	№7 ბ/ბ	ხარებავას ქ. №7
8	№8 ბ/ბ	სულხან-საბას გამზ.63-ა
9	№9 ბ/ბ	გუგუნავას ქ. №155.
10	№10 ბ/ბ	ირ.აბაშიძის გამზ.17-გ
11	№11 ბ/ბ	ნიჟარაძის ქ.№24
12	№12 ბ/ბ	მაისურაძის ქ. №5.
13	№13 ბ/ბ	ბუხაიძის II მკრ№8
14	№14 ბ/ბ	ტყაბლაძის ქ.№3.
15	№15 ბ/ბ	ბუხაიძის ქ. №34-ა.
16	№16 ბ/ბ	ევდოშვილის ქ. №83.
17	№17 ბ/ბ	ბუხაიძის II მკრ №4.
18	№18 ბ/ბ	ნიკეას ქ. №34.
19	№19 ბ/ბ	თაბუკაშვილის ქ. №207.
20	№20 ბ/ბ	ნიკეას ქ. №56.
21	№21 ბ/ბ	თაბუკაშვილის ქ. №185.

22	№22 ბ/ბ	მიქელაძე-მეველეს IIIშ.17-ა
23	№23 ბ/ბ	კიკვიძის IIIშ .№2.
24	№24 ბ/ბ	ასათიანის ქ. №119.
25	№25 ბ/ბ	ხორავას ქ. №8
26	№26 ბ/ბ	კოღუაშვილის ქ. №5
27	№27 ბ/ბ	ნიკეას IIშ. №14.
28	№28 ბ/ბ	თაბუკაშვილის ქ. №26.
29	№29 ბ/ბ	ჩეჩელაშვილის ქ. №22.
30	№30 ბ/ბ	ლესელიძის ქ. №89.
31	№31 ბ/ბ	ნიკეას ქ. №9.
32	№32 ბ/ბ	ჩანჩიბაძის ქ. №12.
33	№33 ბ/ბ	ჩკალოვის ქ. №3
34	№34 ბ/ბ	ლერმონტოვის ქ. №2.
35	№35 ბ/ბ	ახალგაზრდობის გამზ.Vშ15

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები, მათ შორის დღგ–ც. საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სტანდარტებით.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულების პროექტი

ქ. ქუთაისი ——— 2011 წელი

ერთის მხრივ, ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" (შემდგომში „შემსყიდველი“) დირექტორის მოადგილის, დავით სარალიძის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ 8(431)253701). მეორეს მხრივ, ————————, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ——————————— სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №40 საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" 35-ვე ფილიალების შენობება-ნაგებობების ელექტრო ენერგიის აღრიცხვის კვანძის მოწესრიგებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს ——————— ლარს;

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება .ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" უფლებამოსილი პირების მიერ;

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებაში ასახული პირობების შესაბამისად;

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში;

6.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშწორება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშწორების თაობაზე უნდა დაერთოს: ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება,

ბ) მიმწოდებლის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი ანგარიშფაქტურა;

7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში;

7.4 ანგარიშწორება განხორციელდება გაწეული მომსახურებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ფასს;

8.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში;

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;

10.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

10.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
10.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
10.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,
10.4.2 განახორციელოს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საავტორო ზედამხედველობა.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის 1000 (ათასი) ლარს;
11.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;
11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან;
12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;
3.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
14.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ააიპ "ქალაქ ქუთაისისბაგა-ბაღებისგაერთიანება" იურიდ.მისამართი : ქ.ქუთაისირუსთაველისქ.#1 საიდენტიფიკაციო ნომერი: 412675396. ტელეფონი: 8(431)253701 ბანკი: ს/ს "ვითიბიბანკიჯორჯია" ანგარიში: GE91VT0500000000643408 ააიპ ქ.ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორი _____ მაია პაქსაძე	